ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 20

"27" იანვარი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი №13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.08.002.030) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მასტერ ფუდისთვის" (ს/კ. 402015724) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, თამარ მეფის გამზირი №13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.08.002.030) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მასტერ ფუდისთვის" (ს/ნ 402015724) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის №23.37.37 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი №13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.08.002.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მასტერ ფუდისთვის" (ს/ნ 402015724) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 21 312 (ოცდაერთი ათას სამას თორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე